# სახალხო გაზეთი

№ 393 კვირა, 4 სექტემბერი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 393

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „ხორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. ს. სარაჯიშვილის სახლი, მისავალი ეზოდან.

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



„სახალხო გაზეთი"
სურათებიანი დამატებით
1 ენკენისთვიდან წლის ბოლომდე
ღირს 3 მან. 20 კაპ.
ერთი თვით, როგორც ქალაქ-ში ისე მის გარედ . . . . . 80 კაპ.
ფოსტის ადრესი: ტფილისი, „სახალხო გაზეთი". (п. я. 190)
რედაქცია და კანტორა იმყოფება: სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლში, შესავალი ეზოდან.

დ. ყვირილაში
„ორიპანის" სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა
„სახალხო გაზეთზე". აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.

ქ. თელავის ხელის მომწერთა
საყურადღებოდ
ჩვენი გაზეთის თელავ ხელის მომწერთ, ვისაც სურს, რომ გაზეთი იმავე დღეს მიიღოს ქ. შ. წ. კ. წიგნის მაღაზიაში, ვთხოვთ ამის შესახებ განაცხადონ აღნიშნულ მაღაზიაში და თან წარუდგინონ ფოსტის ბანდეროლი. (3—1) სახალხო გაზეთის კანტორა.


მწუხარებით დახოცილნი კონსტანტინე და ანასტასია დიმიტრის ძე და ასული ბაქრაძენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველნი ქალიშვილის, ხოლო მეორესი დისწულისა

## ეკატერინეს (კატუშის)

გარდაცვალებას. პანაშვიდები საღამოს 6 საათზე; გამოსვენება კვირას, 4 ენკენისთვეს, დილის 10 საათზე, საფირჩხიის სასაფლაოზე დასაკრძალავად. (2—1483—2)


ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი

ზ. ს. ს. ს. ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე კვირას, 4 ენკენისთვეს, 1911 წ. ელ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით წრის სცენის მოყვარეთა დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

I. „რასაც ვინახავს ველარ ნახავ"
კომ. 3 მოქ. ცაგარლისა.

II. სიზმარი ტაიჩი სოფელნიკისა
პოლიტიკური პიუფონდა, 1 მოქ. თარგ. კ. ხახანაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: გოგოლაშვილი, გოდერძი, კახელი, ქართველიშვილი, ჩერქეზიშვილი, ბ-ნნი ანაშვილი, ბაქრაძე, გოცირიძე, ინაშვილი, მეტრეველი, სალაყაია, სვანელი, ნარი, ხახანაშვილი, შანშიაშვილი, ჭამკვატაძე, შანშიაშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თეატრის ადმინისტრაცია დაბეჯითებით სთხოვს საზოგადოებას, სხვის ადგილებზე ნუ დასხდებიან. პატარა ბავშვების თეატრში და ფარდის აწევის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულია. რეჟისორი ა ლ. წ უ წ უ ნ ა ვ ა.
ადმინისტრატორი ა. ჭიაბერაშვილი. (3—302—3) მორიგი წევრი ირემაძე.

ა. კ. გედევანიშვილის საბავშვო ბაღი
ამით აცხადებს, რომ სწავლა დაიწყება ათ სექტემბერიდან. ბავშვები მიიღებიან 5-დან 7 წლამდე. ბავშვების ჩაწერა და დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება „ნაკადულის" რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის სახლი, № 8, ნ. ნაკაშიძესთან 12 საათიდან 2-მდის, ყოველ დღე კვირა-უქმეებს გარდა. (8—1475—6)

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. (წ.—1147—132)

ტფილისის კერძო სამკურნალო
გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.
განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, ვეტცელის" სასტუმროსთან.
ტელეფონი № 509.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველ თვის შეიძლება დღე და ღამეც.
ამბულატორიო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

გედევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., ოთშ., და პარ. $10^{1}/_{2}$—11 ს.

დგებუაძე რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^{1}/_{2}$ საათ., დროებით წასულია.

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე, კვირის გარდა, 1—$1^{1}/_{2}$ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე $12^{1}/_{2}$—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

სობოლევსკი ვ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სულხანოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს. დროებით წასულია.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი წამლობა „606"-ით Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. დროებით წასულია.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათი. საფასურით. (წ. —1089—552)

მიხეილის პროსპექტზე, ლიუტერ. ეკლეს. გვერდით იაროსლავის მაღაზიაში
# პ. ს. დოროფნოვის
## უდიდესი
## იაფობა

დანიშნულია 12 დღით, 1 სექტემბრიდან 18-მდე. ე. ი. 6, 7, 8, 9, 10, 12, 13, 14, 15, 16 და 17
წარსულ წელთა მიხედვით სეზონის ახალ საქონლის მიღების წინ, დანიშნულია ჩვეულებრივი იაფობა სადაც გაიყიდება:
დიდძალი საქონელი ყველა განყოფილებიდან ღირებული 200,000 მან.

ბამბეულისა და ფერადი ქსოვილებისა
დიდი ძალი დარჩენილი საქონელი და კუპონები 35%-ის დაკლებით.
მაუდეულის განყოფილებაში.
არსებულ ფასებზე 40%-ია დაკლებული.
ტილოს განყოფილებაში
3000 დარჩენილი ნაჭ. 30%-ია დაკლებული.

შეკერილ თეთრეულის განყოფილებაში
დიდძალი საქონლის გადმოწყობილი იაფობისათვის როგორც კაცის ისე ქალის თეთრეულისა. ფასები გასაოცრად იაფია.
ტრიკოსი და ქსოვილთა განყოფილებაში;
ჩულქები, წინდები ფილდიკოსისა და მატყლისა, ფუფაიკები კაცისა და ქალისა, საოცარ იაფ ფასად. საბნები მატყლისა. შალები, ყოველგვარ ღირსებისა და ზომისა, ცხვირსახოცები, ფასი დადებულია საოცრად ნაკლები.

უხარ მაზარ ვიტრინებში ყველა განყოფილების საქონლის ნიმუშებია გამოფენილი იაფ ფასების აღნიშვნით

ვაუწყებ პატივცემულ მყიდველთ რომ იაფობა იწარმოებს დილის 9—2 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე.

(1—1485—1)

პ. ს. დოროფნოვი.

მიიღება ხელის მოწერა მხოლოდ 10 ენკენისთვემდე
არჩილ ჯორჯაძის
თხზულებათა მე-3 წიგნზე
„ნააზრევი"
ხელის მოწერით ეღირება 40 კ. აგენტებთან; ფოსტის გასაგზავნ ხარჯად 10 კ.
შ ი ნ ა ა რ ს ი: წინასიტყვაობა. ხელოვნება: 1. ურწმუნო მწერლებს, 2. სიტყვა, კაზმული მწერლობა, 3. პოეზიის სამფლობელოში (გრ. რობაქიძის ლექციის გამო. 4. ნავთსაყუდლის მებნაში, 5. ქართულ მუსიკის შესახებ, 6. ცოტა რამ ხელოვნების შესახებ. რელიგია-ფილოსოფია: 1. ინდოეთის სიბრძნე (ბრაჰმანიზმ-ბუდიზმი), 2. ლევ ტოლსტოი (სიცოცხლის ტრაგედია, მგოსრები), 3. ქალის ხვედა, 4. წერილები იტრიის წისქვილიდან („იმა ქვეყანათა ზელშეხება") ეს უკანასკნელი, ახალი წერილია. დამატება: რამდენიმე წერილი ხელოვნების შესახებ 1901—1902 წლ. „ცნობის ფურცელ„—„მოამბიდან": 1, ქართული თეატრი; 2, თეატრი და ხელოვნება; 3, ხელოვნების გამარჯვება; 4, ქართული ხელოვნება გამოფენაზე, 5, კ. გ. გაბაშვილის მხატვრობის გამო; 6, „ჩვენისთანა ბედნიერი, განა არის სადმე ერი!"
ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში: წ. კ. ს. მაღაზიასა და „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში; ქუთაისში: „კოლხიდის" რედაქციაში; ბათუმში: ირ. ავალიშვილთან; სოხუმში: ნ. ჯანაშიასთან; სურამში: ალ. ზურაბასთან; გორში: სოლ. კიკნაძესთან; თელავში: ი. პაატაშვილთან. (0—11)

ტელეფ. 795. ახალი კლუბი ტელეფ. 795.
სამშაბათს, 3 ენკენისთვეს, 1911 წ.
ჩვეულებრივი საოჯახო საღამო
საზამთრო თეატრის სცენაზე წარმოდგენილ იქნება, ი. პ. სარაჯიშვილის და ბროძის მონაწილეობით
I
ევგენი ონეგინი (სცენა დუელით)
ოპ. ჩაიკოვსკისა.
II
რიგოლეტტო (4 ე მოქმედება)
ოპ. დ. ვერდისა.
მონაწილეობას იღებენ: ქ. ქ. გენეროზოვისა და ნიკოლაევისა და ბ.ბ. ადასოვი, ბროძი, ი. პ. სარაჯიშვილი და სხვ.
ადგილების ფასი თეატრში: პარტერში 1 მ. 50 კ. 20-დე. ლოჟები—ბენუარი 3 მ., ბელეტაჟი—ანფოსი 2 მ., გვერდისა 1 მ. 50 კ. გალერეია 40 კ. 20-დე. გალერეიაში შესვლა ყველას შეუძლიან სტუმრები იხდიან კაცი 1 მ., ქალი 50 კ., სტუდ. 25 კ.
წარმოდგენის შემდეგ ლ ო ტ ო და მუსიკა. (2—1432—1)

ა ხ ა ლ ი კ ლ უ ბ ი
კვირას, 4 ენკენისთვეს, 1911 წ.
საზაფხულო თეატრის სცენაზე გაიმართება
კაბარე
დასაწყისი 12 ს. ღამისა.
ადგილების ფასი თითოზე 50 კ., ჩაწერა შეიძლება კლუბის კანტორაში.
დასაწყისი ლ ო ტ ო ს ი 9 ს. საღ.
სტუმრები იხდიან: კაცი 50 კ., ქალი და სტუდ. 25 კ. (1—1432—1)

ელექტრონისა და რენტგენის
სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—99)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავად. მყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4 სახლი გაბაშვილისა. (უ)

Адресъ телеграммъ САНИТАСЪ Тифлисъ
Adresse Télégraphique SANITAS

КАВКАЗСКОЕ ТОВАРИЩЕСТВО
ТОРГОВЛИ
АПТЕКАРСКИМИ ТОВАРАМИ
ТИФЛИСЪ. БАКУ. БАТУМЪ.

ვისაც სურს ლამაზათიანად და ლამაზად იქონიოს თავისი ბინა, ავეჯი, ხალიჩები ნივთები, კიბეები, გრძელი სკამები, ეტლი, ნავი და სხვა იმან უსათუოდ უნდა იყიდოს
სალებავი რიპ.ოლანი
იგნაკი დარიგებისა უფასოდ. (1—1479—1)

გ ა მ ო ვ ი დ ა დ ა ი ყ ი დ ე ბ ა
ასოსპირელის
დრამატიული პოემა
შვენება და სიყვარული
გამოცემა მიხაკო ლაღიძისა.
ფ ა ს ი 15 კაპ.
საწყობი ქ. შ. წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში. ვინც ოც ცალს ერთად იყიდის მანეთზე 20% დაეთმობა. (5—1)

ქ უ თ ა ი ს შ ი
თ. მთავრიშვილისა და ამხ.
წიგნის მაღაზიაში
იყიდება შემდეგი საკუთარი გამოცემები: „გუთანი", ქართული ენის სახელმძღვანელო, მესამე და მეოთხე წელს სასმარებელი—შედგენილი ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებლების: ი. ოცხელის, თ. მთავრიშვილის და ს. ყიფიანის მიერ; ფასი ყდით 17 შაური. „საქართველოს ისტორია", მოკლე სახელმძღვანელო, შედგ. ს. ქვარიანის მიერ. ფასი ყდით 2 აბაზი. „ქართული გრამატიკა", შედ. სილ. ხუნდაძის მიერ, ფასი ყდით 3 აბაზი. „პირველი დარიგება სამღვთო სჯულის სწავლებაზე, შედგ. არქიმან. ნესტორის (ყუბანეიშვილის) მიერ. ფასი ყდით 6 შაური. „ქართული წერის დედანი", შედგ. ს. დათეშიძის მიერ. ფასი 5 შაური. „საქართველოს ქარტაა, ფასი ერთი შაური. „ქართული მოძრავი ანბანი", ფ. 2 აბაზი
აქვე იყიდება რუსულ ენის ახალი სახელმძღვანელო მესამე და მეოთხე წელს სასმარებელი (методическая хрестом. по русскому яз.), შედგ. ჯაფარიძისა და ზედგინიძის მიერ, ფასი ყდით 4 აბაზი; და აგრეთვე ყოველგვარი სახელმძღვანელო, რომელიც იხმარება დაბალსა და საშუალო სასწავლებლებში. სასწავლებლებსა და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ: საკუთარ გამოცემებზე 20 პროც.; ზოლო სხვა წიგნებზე—10 პროც.—15 პროც. (ყდის ფასი ერთი შაურია). (4—1480—3)

ექიმი ი. ი. მინასიანცი
შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ს სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე.
მლიბაშელის ქუჩა, N 39, ტელეფონი N 1067. (100—1117—5)

ექიმი ზ. ა. მიძელაძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდე.

ექიმი ი. გ ა შ ა კ ი ძ ე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 12. (0—129)

# ზუბალაშვილის

**სახელობის სახალხო სახლში წარმოდგენების მმართველი წრის გამგეობა** ამით აცხადებს, რომ ახლო მომავალში სახალხო სახლში მომუშავე **სცენის მოყვარეთა** რიცხვი გამრავლებული იქნება. ახლად მიღებულ სცენის მოყვარეებისათვის მიმდინარე წლის განმავლობაში წრის **რეჟისორის ალ. წუწუნავას** ხელმძღვანელობით გამართულ იქნება უსასყიდლო სისტემატიური მეცადინეობა **სასცენო ხელოვნების შესასწავლად.** როცა გამოირკვევა ჩაწერილ სცენის მოყვარეთა ძალები, გამართულ იქნება მათი გამოსაცდელი **წარმოდგენა.** გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მსურველთ, ჩაეწერონ რეჟისორთან, წრის კანტორაში სღამოს 5—7 საათამდის. ადრესი: მიხეილის პროსპექტი, № 102, ბინა № 6.

(3—792—3)

## ექიმი გ. ი. ჩხენკელი
**ქუთაისში.**

შინაგან, საბავშვო და საბებიო სნეულებათა. იღებს დილ. 8—12, საღ. 6—8 ს. ორპირის ქ., გიორგი იოსელიანის სახლი. (თ.—1321—54)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

**ე. ს. გაშაკიძე**—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

**ა. ნ. ყიფშიძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

**ბ. ა. ბობოძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

**გ. ს. სტანიშევსკი**—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

**შ. ა. მიქელაძე**—შინაგან და ბავშვთ ავადმყ. 1—2 ს.

**ნ. ზ. მელიქიშვილი** — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**გ. გ. ხოშთარევსკი**—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

## წამლობა „606“-ით.

(წლ.—1090—150)

## ექიმი მ. ნ. მამაკიანი
შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფ. სპეციალური ავადმყ., კუჭისა და წელებისა. მიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.), და 5—7 ს. (სხვ.). მიხეილის პროსპ. N 36, ტელეფონი 388. 25—1442—19

## ექიმი ბ. მ. ლოლობერიძე
**შინაგანი და ქალთა სნეულებანი.**

იღებს ავადმყოფებს სალამოობით, ყოველ-დღე 5—7 საათამდე.

კირპიჩნი შესახვევი, № 16, სახ. სვიმონოვისა. (თ—1426—24)

## ექიმი ქალი კბილისა ოლ. ელიზბარიშვილი-შანტურიასი
ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე დილის 9—2 ს. და საღამოს 4—7 ს.; კვირა-უქმ. მხოლოდ დილის 9—12 საათამდე.

ვერა, ბელინსკის ქ., № 15, სახლი ელიზბაროვისა. (თ.—1451—19)

ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების

## „ვოლგა“-ს
საავენტო განყოფილება

პუშკინის ქუჩაზე № 25, სემინარიის პირდაპირ, ვსთხოვ საქმისათვის ამ ადგილს მომმართონ.

პასუხისმგებელი აგენტი გიგო თოიძე.

(1—798—1)




(25—1456—9)

## ვასწავლი
**ქართულ სიმღერა-გალობას**

**(გუნდისთვის)**

**მიღება და ჩაწერა 20 ენკენისთვემდის.**

მოწაფეებისთვის და მოხელეებისთვის სამშაბათობით საღ. 5—6 საათამდის. მუშებისთვის და ნოქრებისთვის კვირაობით დილის 8—9 საათამდის.

ადრესი: ავჭალის მოედანი № 11, სახლი ჩემოდანოვისა, სიხეილ კავსაძესთან. (10—1424—9)

**ხაშმლის შემულება, ბოყინი და პირში ლორწოიანი გემო** იმის მაჩვენებელია, რომ კუჭი გავსებულია. ვენის სამეფო საყოველთაო სამკურნალოს დაკვირვებამ გამოარკვია, რომ ნახევარ ჭიქა **ფრანც-იოსების** თავანკარა მწარე წყალი კუჭის წესიერ მონელებას ხელს უწყობს რამდენიმე საათში და ამასთანავე მადაც მოაქვს.

(1—1484—1)


# ადგილობრივი პრესა

სული სულს იცნობს და გული გულსაო, ნათქვამია. ხაჩატუროვის „ტიფლისკი ლისტოკ“-მაც იცნო თავისი დამქაში „მნათობი“, ეს „ყველაზე მეტად გავრცელებული“ გაზეთი და თავის მკითხველებს გააცნო შინაარსი იმ წერილისა, რომლის შესახებ ჩვენზე უკვე გამოსთქვა თავისი აზრი.

„მომავალი საქალაქო არჩევნები,— სწერს „მნათობი“-ს მეგობარი „ტიფლ. ლისტოკი“,—ქართულ გაზეთების ერთად-ერთ საჭირ-ბოროტო თემად გადაიქცა. შოვინისტურ ბუკსა და ნაღარას, რომელიც ასტეხეს ქართველმა „ჯანსაღ ნაციონალისტებმა“, ყოველი შეგნებული ქართველი ჰგმობს. ის პოზიცია, რომელიც შოვინისტების გაზეთმა „სახალხო გაზეთმა“ დაიჭირა, დიდს კამათსა და გაკიცხვას იწვევს“.

მართლაც რომ თვალებზე ცრემლებს მოჰგვრის ყოველს გულ-აჩუყებულ ინტერნაციონ ლისტს ასეთი აზრთა სოლიდარობა და იდილიური შეხმატკბილება ხაჩატუროვის „ტიფლ. ლისტ.“-სა და „მნათობი“-სა. „ტიფლ. ლისტოკ.“ რომ „მნათობი“-ს ჯურის გაზეთს ყოველთვის შუბლზე ხელს გადაუსვამს ხოლმე, თქვენ კარგი ბიჭები ხართ, რადგანაც ქართველ ნაციონალისტების ხმას არ აჰყვებითო, ეს ჩვენ დიდი ხანია ვიცით. რა მიზნით, რა იდუმალ გულის ზრახვით სჩადის ამას „ტიფლ. ლისტოკი“, ესეც „მნათობის“-ს გარდა, ყველამ იცის. „ყოველი შეგნებული ქართველი“ მშვენივრადა ჰგრძნობს საიდანაც წარმოსდგება ეს საისტორიო შეხმატკბილება სომხის ნაციონალისტებისა და ჩვენი ბეცი ინტერნაციონალისტებისა, მაგრამ მაინც არ შეიძლება არ შევეკითხოთ „ტიფლ. ლისტოკს“, რა დაინახა ნაციონალისტური ჩვენს გაზეთში? თუ ქალაქის თვით-მმართველობა სომხის ნაციონალისტურ ბურჟუაზიის ხელშია, ეს ინტერნაციონალიზმია, და თუ ორიოდე ქართველი ხმოსანიც გაერია—ნაციონალიზმი? თუ ქალაქის ბატონ-პატრონებად თქვენს თავს გამოაცხადებთ, ეს ინტერნაციონალიზმი იქნება, და თუ ქართველებმა სთქვეს, ჩვენც გვინდა გავხდეთ მონაწილენი ქალაქის თვით-მმართველობის საქმეებისაო, მაშინ ისინი ნაციონალისტებად გადაიქცევიან? სად არის აქ ლოღიკა, სად არის სამართლიანობა? ან ვინ უფრო წრე გადასული ნაციონალისტია, ის, ვინც ჰბატონობს და ყოველ ღონისძიებას ხმარობს ამ ბატონობიდან ბრავის არაფერი ბრგუნოს, თუ ის, ვისი უფლებანიც ყოველთვის ფეხ-ქვეშ ითელებოდა და ვის ინტერესებსაც რამდენიმე წლის განმავლობაში უტიფრადა და უსინიდისოდ ფეხით სთელავდნენ? რომელია ამათგანი ინტერნაციონალიზმის დამცველი და რომელი უსაზღვრო შოვინიზმისა? და რატომ არა სწითლდება „ტიფლ. ლისტოკი“, როდესაც შოვინისტსა და ნაციონალისტს ეძახის გაზეთს, რომელსაც მხოლოდ ელემენტარულ სამართლიანობის აღდგენა სურს? მაგრამ „ტიფლ. ლისტოკს“ დიდიხანია დაკარგული აქვს უნარი სირცხვილისა, გაწითლებისა.

ჩვენ გაცილებით უფრო საყურადღებოდ მიგვაჩნია ის გარემოება, რომ „მნათობსა“ და „ტიფლ. ლისტოკს“ შორის კვლავ დამყარდა იდილიური თანხმობა. სიმპტომატიურია ეს აზრთა შეთანხმება, და იმედია, ყოველი ქართველი მშვენივრად მიხვდება, რანაირი სარჩული უდევს ამ თანხმობას...

# ახალი ამბავი

## ტფილისი

◆ **ტფილისის გუბერნატორის მოადგილემ ქალაქის გამგეობას მოსთხოვა „საქმე“**, რომელიც შეეხება ქალაქის სააუქციონო შემფასებლებს ა. გ. შადინოვს და ა. ს. სემბეკოვს, თანამდებობის ასრულების დროს ჩადენილ ბოროტ-მოქმედებას.

◆ **გუშინ ტფილისის გუბერნატორის მოადგილემ** ქალაქის მოურავს საყურადღებოდ და სისრულეში მოსაყვანად № 4074 1911 წ. 13 აპრილის, სინოდის განკარგულების პირი გაუგზავნა. ამ განკარგულებით ქალაქის საბჭოში სასულიერო პირთ ნება ეძლევათ სათანამდებო პირთა არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ.

◆ ტფ. გუბერნატორის მოადგილემ ქალაქის გამგეობის 27 აგვისტოს განაჩენი დაამტკიცა, რომლითაც ხორცის ნიხრს დაუკლეს. ძროხის ხორცი 12-ტის მაგივრად 11 კაპეიკად უნდა გაიყიდოს, ცხვრისა კი 14-ტის მაგივრად 12 კაპეიკად.

◆ **ტფილისის საგუბერნიო სამოქალაქო საქმეთა საკრებულომ** გორის 15 რწმუნებულისა და სამი კანდიდატის არჩევნების საქმის წარმოება განიხილა და დაადგინა: 1) სამ რწმუნებულს: დავით ხუბალაშვილისა, სევასტიანე შველიძისა ნიკოლოზ ვარძელაშვილისა და კანდიდატის ალექსი ხარატოვის არჩევნები გაბათილდეს. 2) დავით ხუბალაშვისა და ს. შველიძის მაგიერ ორი დარჩენილი კანდიდატი დაამტკიცონ და 3) ერთ რწმუნებულსა და რწმუნებულთა ერთი მეხუთედის ოდენა კანდიდატების დამატებითი არჩევნები მოახდინონ.

◆ **ტფ. გუბერნატორი** ა. გ. ჩერნიავსკი სამსახურის საქმეთა გამო 3 სექტემბერს ბათომს გაემგზავრა.

◆ **საქართველოს ეგზარხოსი ინოკენტი** გუშინ ტფილისს დაბრუნდა.

◆ **პოლიცმეისტერმა** ბოქაულებს დაავალა, სასტიკად ადევნონ თვალყური მოქმედებას სხვა და სხვა დარჩენილ გადასახადების მომგროვებელ პოლიციელებისა და თუ რაიმე უკანონობას დაინახავენ მათს მოქმედებაში, დაუყოვნებლივ პოლიცმეისტერს აცნობონ.

◆ **საქალაქო არჩევნები.** ქალაქის საბჭოს ხმოსანის ა. ს. ბაბოვის თაოსნობით დღეს ხმოსნებისა, მუნიციპალურ მოღვაწეთა და ზოგიერთ ამომრჩევლების საერთო კრება გაიმართება მომავალ არჩევნებისთვის ცენტრალურ კომიტეტის ასარჩევად.

◆ **კავკასიის უნივერსიტეტის** შესახებ ბირჟის დარბაზში დღეს ლექციას წაიკითხავს ქალაქის საბჭოს საუნივერსიტეტო კომისიის თავჯდომარე თავ. გ. მ. თუმანიშვილი. ლექციას ბ-ნი შინგარევიც დაესწრება.

◆ **კავკასიის მუზეუმის ძველი** შენობის დანგრევას უკვე შეუდგნენ. ახალ შენობის ასაგებად, როგორც ვწერდით, საკმარისი თანხაა გადადებული.

◆ ფინანსთა სამინისტრომ შესაძლებლად იცნო, სენაკის მაზრის სოფელ ეწერის საზოგადოებამ მასზე დარჩენილი გადასახადი 2,720 მან. 8 კაპ. სამის წლის განმავლობაში ნაწილ-ნაწილად გადაიხადოს.

◆ **ტფილის-კოჯორის რკინის გზის** გეგმა, რომელიც ინჟენრებმა ი. ი. კოგნოვიცკიმა და კ. ი. მარქაროვმა შეადგინეს, ნამესტნიკს გადაეცა განსახილველად.

◆ **საკლავის საქონლის სიმცირე.** გუშინ და გუშინ წინ ქალაქში საკლავი საქონელი სრულიად არ მოურეკიათ, რადგან ყაზახის მაზრაში საქონლის ჭირის გაჩენის გამო ყაზახის გზა შეკრულია.

◆ სახელმწიფო სათათბიროს წევრს ა. ი. შინგარიევს ტფილისში დღეს მოელიან. სამშაბათს, 6 სექტემბერს ბ. შინგარიევი საზოგადო კლუბის (ბირჟის დარბაზი) გახსნას დაესწრება, სადაც თავ. გ. მ. თუმანიშვილი ტფილისის უნივერსიტეტის თაობაზე მოხსენებას წაიკითხავს.

◆ **ფილოქსერის** წინააღმდეგ კახეთში ამ ჟამად ორი ჯგუფი მუშაობს: ერთი ალაზნის მარცხენა,— მეორე-მარჯვენა ნაპირს.

◆ **პოლიციელებმა და ქალაქის სასანიტარო კომისიებმა** 20 დან 28 აგვისტომდე ტფილისში 526 სახლი და 238 სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულება დაათვალიერეს. სასანიტარო სავალდებულო დადგენილებათა დარღვევა 33 სახლში და 14 სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებაში აღმოაჩინეს და დამნაშავეთა დასაჯარიმებლად შესაფერი ოქმები შეადგინეს.

◆ რედაქციამ მიიღო **ახოსპირელის** სამნაწილიანი დრამატიული პოემა **„შვენება და სიყვარული“.** წიგნი მშვენივრად არის გამოცემული, 48 გვერდს შეიცავს და ღირს სამ შაურად.

◆ **ქალაქის გამგეობასთან არსებულ საექიმო სასანიტარო ბიუროს ცნობებით.** არამიანცის საავადმყოფოში 1 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე 174 ავადმყოფი ჩაწერილა. მორჩენილა 133, 14 გარდაცვლილა, წინად ჩაწერილებთან ერთად პირველ სექტემბრისათვის სულ 199 ავადმყოფი დარჩენილა.

თვის განმავლობაში ბარაკებში ყოფილა: ყელჭირვებით—3, საოფლით—2, ქუნთრუშით—15 (ორი გარდაიცვალა), წითელათი—3, წითელი ქარით—1, კუჭისა და ნაწლავების ავადმყოფობით—1, ციებცხელებით—1.

## საზოგადოებანი და კრებები

◆ დღეს, საღამოს 7 საათზე, ბირჟის დარბაზში **საზოგადო კლუბის ლექტორთა თათბირი მოხდება;** დასწრება თათბირზე შეუძლიან ყველა წევრსა და იმათაც, ვინც რეფერატების კითხვაში მონაწილეობას მიიღებს.

## სასწავლებლებში

◆ ქართულ გიმნაზიის გამგე კომიტეტის საქმის მწარმოებელი ბ. **პეტრე მირიანაშვილი** ქართული ენის მასწავლებლად დაინიშნა.

◆ მეორეს სავაჟო გიმნაზიაში წელს მოსამზადებელ კლასის **მეორე განყოფილება იხსნება.**

◆ ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტთან, სამრეწველო ოლქის განკარგულებით, სამაზრო პირველ დაწყებით სკოლების მასწავლებელთთვის **საღამოს კურსები იხსნება,** კურსები 18 სექტემბრიდან 18 დეკემბრამდე და 8 იანვრიდან 1 მარტამდე გაგრძელდება.

## ქუთაისი

◆ ქალაქის თვითმართველობამ ნინა ხიმშიაშვილს 15 მან. დახმარებაზე უსახსრობის გამო უარი უთხრა.

◆ **მედიცინის დოქტორმა მიხეილ ფილიპეს-ძე მგალობლიშვილმა** თხოვნით მიჰმართა ქალაქის თვითმართველობას, რომ მიეცეს მას ახლ გახსნილ ქირურგიულ-ტერაპევტიულ საავადმყოფოში მეორე ექიმის ადგილი. მთხოვნელს გაუთავებია კლასიკური გიმნაზია ქუთაისში 1904 წელს, 10 სემესტრი დაუყვია ვენის უნივერსიტეტში, ეკზამენი ჩაუბარებია ბაზელისაში. პრაქტიკა მიუღია პროფ. Fritsch'-ა-ს ტერაპევტიულ კლინიკაში ვენაში და სახელმწიფო ეკზამენი დაუჭერია რუსეთში, ყაზანის უნივერსიტეტში.

◆ **დავით კლდიაშვილის თხზულების** გამომცემელმა მიხაკო კალანდაძემ თხოვნა შეიტანა ქალაქის თვითმართველობაში და შავი ქვის მრეწველთა საბჭოში, რომ შეიძინონ რამოდენიმე ათი ცალი ქალაქის პირველ დაწყებით სკოლების წიგნთსაცავებისთვის და აგრეთვე მოწაფეებისთვის. ამასთანავე იგი დასძენს, რომ ბათომის თვითმართველობას შეუძენია 40 ცალი, ფოთისას—20 და წერა-კითხვის ადგილობრივ განყოფილებებს 20 ცალი.

◆ **ტუსაღების გადაყვანა.** როგორც გადმოქვცეს, აქ ჩამოვიდა ტფილისის საგუბერნიო და მეტეხის ციხის უფროსი რიმკევიჩი. მიზნათ აქვს ტუსაღების არჩევა მეტეხის ციხის სახელოსნოებში გადასაყვანად ამავე მიზნით ფოთში გაემგზავრება და შემდეგ ბათუმშიაც.

◆ **ახალი საქმე,** კავკასიის საოლქო სამხედრო სასამართლომ ჩააბარა საბრალმდებელო ოქმი დიდი ჯიხაიშის მცხოვრებს დავით ლეჟავას, ლექსანდრე ლეჟავას, ნოე დევიძეს, კოლია შუბლაძეს, ათანასე შუბლაძეს, დავით ნემსაძეს და დიმიტრი ვაშაკიძეს. ამათ ბრალდებათ 1905 წელში სოფ. დიდ ჯიხაიშში რევოლიუციონურ მოძრაობის მეთაურობა და პასუხისგებაში არიან მიცემული სისხლის სამართლის 102 მუხლის ძალით. დამცველებად გამოდიან: გრუზენბერგი, კლანკი, გელაზაროვი და გრ. გიორგაძე.

◆ **შავი ქვის წარმოება.** ჭიათურის შტოთი ივლისის განმავლობაში გაუტანიათ 4,355,250 ფუთი შავი ქვა; აგვისტოში კი—4,135,800 ფუთი. ივლისის განმავლობაში ბათუმიდან და ფოთიდან გაუტანიათ 5.183,696 ფუთი, ბათუმიდან — 470,135 ფუთი; ფოთიდან გაუტანიათ 4,713,561 ფუთი. ივლისის განმავლობაში საზღვარგარედ გაუტანიათ 5,183,696 ფუთი: ჰოლანდიაში—322,304 ფ. ინგლისში— 1,036,154 ფ. ავსტრო-ჰუნგრეთში— 376,196 ფ. გერმანიაში—430,542 ფუთი; იტალიაში—26,250 ფ. და სამხრეთ რუსეთში—92,250 ფუთი.

◆ გურიის სხვა და სხვა სოფლებიდან გვატყობინებენ, რომ ცუდი ამინდის გამო, ჭირნახული წახდა და სოფელს შიმშილი მოელის.

◆ სოფ. ვაკიჯვარში მდინარაძეების მამულში **სპილენძის მადნის** ნიშნები აღმოჩენილა. ორ ინჟენერს, რამოდენიმე ოსტატი ბერძენი მიუყვანია და გვირაბის თხრა დაუწყვია, ამ მუშაობაში [illegible] ნიშნებსაც წასწყდომიან.

◆ **თავდასხმა.** 19 აგვისტოს, ნანეიშვილისეულში **ყაჩაღები დაესხმიან ილარიონ უშვერიძეს.** ამ დროს საჭმის სერზე ორი სოფლის შეერთებული კრება იყო და კრებაზე იყო პრაპორჩიკი ბოლქვაძე თავის რაზმით, მაგრამ იმათ ჩამოსვლამდე ყაჩაღები გაიქცნენ. დააპატიმრეს იაგორ უშვერიძე.

(„მნათობი“)

## ბაქო

◆ 20 ცხენოსანი ყაჩაღი ლენქორანის მაზრას სოფ. მელიკამილიას დაეცა. 500 მანეთი წაიღეს და ცხვარი გაირეკეს. ორი ყაჩაღი შეიპყრეს.

## სოხუმი

◆ იუსტიციის მინისტრთან **ქალაქის თვითმართველობის დეპუტაცია გაემგზავრა,** რომელიც მინისტრის წინაშე შუამდგომლობს, რათა სოხუმში საოლქო სასამართლო გახსნან.

## პროვინცია

◆ **სტეფანწმინდა** (ყაზბეგი). 8 სექტემბერს ს. სტეფანწმინდაში (ყაზბეგში) დანიშნულია ახალ სკოლის შენობის კურთხევა. მოწვეულია საქართველოს ეგსარხოსი ინოკენტი, ტფ. გუბერნატორი და მთელი ხევის წარმომადგენელნი.

◆ **ყვარელი.** 7 აგვისტოს, ღამით, ვიღაც უცნობებმა გასძარცვეს საბაზაზო დუქანი ნიკა სარქისოვისა. უცნობებმა წაიღეს ორასი თუმანი ნაღდი ფული და ორას ორმოცდაათის თუმნის ფარჩეულობა.

◆ **სოფ. ციხის ძირი** (გორის მაზრა). მარიამ კიკნაძე საფქვავის ამოსატანად წისქვილს რომ მიუახლოვდა ბუჩქებიდან მისი მეზობელი გრიგოლ კიკნაძე გადმოხტა და ხელი წაავლო და გაუპატიურება მოუნდომა. მაგრამ ქალმა ხანჯალი იძრო და ბოროტ-განზრახველი თავში დასჭრა.

◆ **სოფ. კამიშკუტი** (ბორჩალოს მაზრა). ფეფელა მანუკოვისა თავისი ქმრის რევოლველს ათვალიერებდა, რომელიც უეცრად გაუვარდა, ტყვიამ მუცელში და ხელში დასჭრა, ქალი მეორე დღეს გარდაიცვალა.

# საქალაქო არჩევნები

## 5

ინტერნაციონალური პოზიცია საქალაქო არჩევნებში გამოიწვევს არა ერთა რეალურ სოლიდარობის დამყარებას, არამედ გადაფურჩებას, დაბნელებას იმ ანტაგონიზმისას, რომელსაც ჩვენს ცხოვრებაში მართლაც აქვს ადგილი. საქმე საკითხის მიჩქმალვა არ არის; საჭიროა არა ძალათი დაბრმავება, არამედ ამ ანტაგონიზმის ჭეშმარიტი ხასიათის გაგება და გამოძებნა ისეთი საშუალებისა, რომელიც ეროვნულ. სამართლიანობასაც დაამყარებს და ნაციონალისტურ ქიშპობისაგანაც დაიხსნის ქალაქის თვითმმართველობას.

ქართველ ამომრჩეველთა შეკავშირება საარჩევნო ბრძოლის დროს ჩვენ ნაციონალიზმის გამაძლიერებელ საშუალებად არ მიგვაჩნია. იგი მხოლოდ ხელს შეუწყობს ყველა ქართველ ამომრჩეველთა შეკავშირებას, რაც თავის თავად არაფერს ნაციონალისტურს არ შეიცავს. „მნათობი“ გვიკიჟინებს, ყველა ამომრჩეველთა შეერთება შეუძლებელია, რადგანაც მშრომელი მასისა და ცენზიანების შეკავშირებას მხოლოდ ის მოითხოვს, ვინც ბურჟუაზიულ ნიადაგზე სდგასო. ჩვენ უკვე გვქონდა მსჯელობა იმის შესახებ, რომ ეს შემცდარი აზრია. „დემოკრატიული ჯგუფი“, „მნათობის“ ატესტატით, დემოკრატიულსა და ინტერნაციონალურს ნიადაგზე იდგა, მაგრამ ფაქტიურად ეს იყო ცენზიანების მიერ შემდგარი ჯგუფი. მაშასადამე, აქაც ფაქტიურად დაკავშირებული იყო წვრილი ბურჟუაზია მშრომელ მასასთან. ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც დღევანდელი საქალაქო დებულება ყველას არ აძლევს საარჩევნო ხმას. ამიტომ ზემოხსენებული მოსაზრება ჩვენ უსაფუძვლო ბრალდებად მიგვაჩნია და არა ისეთს საბუთად, რომელსაც შეიძლება სერიოზული ანგარიში გაუწიოს ადამიანმა.

ამიტომ ქართველ ამომრჩევლებს, იმავ ამომრჩევლებს, რომელნიც დემოკრატიულ ჯგუფის კანდიდატებს აძლევდნენ ხმას, შეუძლიანთ შეკავშირდნენ დემოკრატიულს ნიადაგზე. განსხვავება და უპირატესობა ამ გვარ შეკავშირებისა, წინანდელთან შედარებით, ის იქნება, რომ, ჯერ ერთი, ქართველი ამომრჩევლები თავის წრიდან ამოირჩევენ შესაფერს კანდიდატს და, მეორეც, ამოირჩევენ ისეთს, რომელიც ქალაქის თვითმმართველობაში სომხის ნაციონალისტების ყურმოჭრილი ყმები არ იქნებიან.

„დემოკრატიული ჯგუფი“ წარსულ წლებისა ინტერნაციონალისტობდა, სომხის ნაციონალისტები კი ამ ინტერნაციონალიზმს ტაშს უკრავდნენ და თან თავის საქმეს აკეთებდნენ. არკ ამაზე გავაგრძელებთ ლაპარაკა, რადგანაც უკვე გვქონდა წერილები დაბეჭდილი ამ საგანზე. სომხის ნაციონალისტები არამც თუ ტფილისში, სხვაგანაც კი, მაგ., თელავში სისტემატიურად ერთსა და იმავ გზას მისდევენ, ფაქტიურად ანხორციელებენ თავიანთ ნაციონალისტურს პოლიტიკას, სიტყვიერად კი ინტერნაციონალისტობენ. „მნათობი“ და მისი თანამოაზრენი ჩვეულებრივად ერთით კმაყოფილდებიან, რომ სიტყვიერად სპო-

გენ ამ ინტერნაციონალიზმს, ფაქტიურად კი არაფერს ისეთს არ აკეთებენ, რაც ცხადად ჰმოწმობდეს, რომ ისინი ჭეშმარიტი მოწინააღმდეგენი არიან ქალაქს თვითმმართველობაში გამეფებულ უკიდურეს ნაციონალიზმისა. პირიქით, როდესაც მაგალითად, გამგეობის ერთი წევრის არჩევა დასჭირდათ, „დემოკრატიულ ჯგუფის“ წევრები სომხის ბურჟუაზიის საერთო ყიჟინას აჰყვნენ და მისცეს ფარნენ იმავ ლოზუნგს, რომელსაც წელიწადი და თორმეტი თვე იცავს კარგად ცნობილი ხატისოვი თავის „ტფ. ლისტოკ“-ში — უნდა ავირჩიოთ არა ქართველი, არამედ საქმისთვის სასარგებლო კაცი, თითქოს საქმისთვის სასარგებლო კაცი არ შეიძლებოდა ქართველი ყოფილიყო. როდესაც სომხის ნაციონალისტები სდგანან ამ ნიადაგზე, ეს გვესმის, მაგრამ როდესაც „დემოკრატიულ ჯგუფი“-ს ხმაც მოემატა სომხის ნაციონალისტების ხმას, ეს ვეღარ გავიგეთ. ერთად-ერთი ახსნა ამ მოვლენისა უნდა ვეძებოთ იმაში, რომ „დემოკრატიულ ჯგუფს“ შეეშინდა, ნაციონალიზმი არავინ დაგვწამოსო, კვლავ ყალბი ინტერნაციონალური პრინციპი წამოაყენა და ამრიგად ფაქტიურად სომხის ბურჟუაზიის გულის ზრახვათა მოკავშირედ გადაიქცა.

ასეთი ხმოსნები მუდამ სომხის ბურჟუაზიის ხელქვეითები იქნებიან. ჩვენთვის საჭიროა ისეთი ხმოსნები, რომელთაც არც თავისი ქართველობა დაერიდებათ და დემოკრატიულ პრინციპებსაც არ უღალატებენ. ამისთანა ხმოსნებს შეუძლიანთ დიდი სამსახური გაუწიონ ტფილისის ქართველობას, და ჩვენც ვუსურვებთ ქართველ ამომრჩევლებს, რომ სწორედ ამნაირი ხმოსნები გამოეძებნოთ...

არ. ჯ—შვილი.

ტფილისის ქართულ საფილარმონიო საზოგადოების
## სამუსიკო სკოლა
(ხაპიდრის ქ. ქდენტის ხაზლი N 18)

**მოწაფეთა მიღება:** ფორტეპიანოსი, სკრიპკისა, ვიოლონჩელისა, კონტრაბასისა, სიმღერისა (solo) და თეორიისა და ნოტების კითხვისა (solfegio) კლასებში დაიწყება 25 აგვისტოს, დილის 10 საათ. ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. მასწავლებელთა სია: ფორტეპიანო—**ქ. მ. კნ. ამირაჯიბისა, ო. მ. ბერგმაიცგარაოვისა, 5. ვ. კალაშნიკოვისა, ე. გ. ფოგელისა** და **თ. ხ. შაბურთეისა.** სკრიპკა—**ა. ნ. ყარაშვილი.** ვიოლონჩელი—**ე. ნ. კაპელნიცკი,** კონტრაბასი—**მ. ი. შერშოვი,** სიმღერა (solo) **ე. მ. ბროჯი,** ელემ. თეორია, ნოტები. კითხვა, გარმონია და ენციკლოპედია—**ზ. პ. ფალიაშვილი,** ხოროს კლასი—**ნ. პს ხულხანიშვილი.** ახლად მოწვეულია სკრიპკის უფროსი მასწავლებელი თავისუფალი ხელოვანი **მ. ტ. ვახილიევი** (ამასთან ფასი 70 მ. წელიწადში, სწავლის ფასი: ფორტეპიანოსი, სკრიპკისა, ვიოლონჩელისა და კონტრაბასის კლასებში 60 მ. წელიწადში, მხოლოდ სიმღერა (solo) 75. სათეორიო კლასებისა 15 მან. წელიწადში. ფულის გადახდა მოხდება ნახევარი წლობით წინ და წინ, ე. ი. სწავლის დაწყებისა თანავე, სექტემბერში და იანვარში. ამ ზემო აღნიშნულ დროსვე მოხდება ხმის გაშინჯვა იმ პირთა (ქალთა და ვაჟთა), რომელთაც სურვილი აქვთ მონაწილეობა მიიღონ ფასით **ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში** არსებულ მგალობელთა გუნდში.

**სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.** (10.1463.4)

# პრემიერ-მინისტრ სტოლიპინის დაჭრა

**დ ე პ ე შ ე ბ ი.**

**2 სექტემბერი.**

**კიევი.** ღამის 3 საათ. და 40 წუთ. სტოლიპინი ხელში დასჭრეს. ტყვიამ ღვიძლში გაიარა და ხერხემალში გაჩერდა.

**კიევი.** სტოლიპინი თავს ძლიან კარგადა ჰგრძნობს. სისხლი ცოტა სდის. მაჯის ცემა—80. ამბობენ დაზიანებული უნდა ჰქონდეს პლევრა და ღვიძლის ზედა ნაწილი. ოპერაცია საჭირო არ არის.

**კიევი.** საქალაქო თეატრში მეორე ანტრაქტის დროს სტოლიპინი სცენის წინ იდგა, პირი ხალხისკენ ჰქონდა მიქცეული და ვიღაცეებს ელაპარაკებოდა. ამ დროს მასთან მივიდა ერთი ახალგაზრდა, ფრაკში გამოწყობილი, ასე 28 წლისა, მიუახლოვდა პრემიერს და ბრაუნინგი ესროლა. გაისმა ორი მოკლე ტკაცუნი. სტოლიპინმა მარჯვენა ძუძუზე იტაცა ხელი და სავარძელზე დაეშვა. მარცხენა ხელი გაუსისხლიანდა. დაჭრილი დასუსტდა. სახე გაუფითრდა. ახლო მდგომთ ასწიეს და გაიყვანეს. სტოლიპინის გაფითრებულ სახეს სიმშვიდე ეტყობოდა... გაისმა ყვირილი. ხალხი მსროლელს ჰკლანძლავდა. ხალხი ძალიან შეშფოთებულია. იგი ჰიმნის დაკვრას თხოულობდა. აიწია ფარდა. მეფე ლოჟაში გამოჩნდა. სცენაზე მთელმა დასმა ჰიმნი იგალობა. არტისტებმა და ხორომ მუხლი მოიდრიკეს. ბევრს ხელები სალოცავადა აქვს დალაგებული. გალობენ „ღმერთო ჰფარევდე მეფესა“ თეატრი, რამდენიმე ხანს ზანზარებდა. მეფე ლოჟიდან გავიდა.

დაჭრილი მინისტრი ექიმის თანხლებით მაკოვსკის სამკურნალოში წაიყვანეს. ტყვია მარჯვენა ძუძუს ქვემოდ მოხვდა და ხერხემალში გაჩერდა. დაჭრილთან მიიწვიეს ლეიბ-ექიმი ბოტკინი, პროფესორები კულკოვიჩი, ობოლენსკი, აფანასიევი და სხვანი. გადაწყვეტილი აქვთ ოპერაცია ჯერ არ გაუკეთონ.

მსროლელი, სროლის შემდეგ, მოიკუზა და კარებისაკენ გაიქცა, მაგრამ აფიცერმა დაიჭირა. მას უპოვეს დოკუმენტები ნაფიც ვექილის თანაშემწის ბაგროვისა.

მეორე ტყვიამ სტოლიპინი ხელში დასჭრა, ხელში გაიარა და ორკესტრში დაჭრა კონცერტმეისტერი

**კიევი.** საავადმყოფოში მოყვანის შემდეგ სტოლიპინმა ითხოვა, მოახსენეთ მეფეს, რომ მზადა ვარ მისთვის მოვკვდეო. ითხოვა, დაამშვიდეთ ჩემი ცოლი და მღვდელი მომგვარეთო.

**ოფიციალური ბიულეტენი.** შუადღის 12 საათი. ორი ჭრილობაა. ერთი მკერდის მარჯვენა ნაწილზე, მეორე მარჯვენა ხელში. ტყვია მოხვედრილა მეექვსე ნეკნების ქვემოდ. ტყვია მეორე მხარეს არ გასულა, მხოლოდ ხელით კი შეიძლება მისი პოვნა ხერხემლის მეთორმეტე მძივის ქვემოდან. პირველ ხანად სტოლიპინი დასუსტდა და დიდ ტკივილებსაცა ჰგრძნობდა. პირველ ღამეს დაჭრილი ცუდად იყო. ტემპერატურა 37 ჰქონდა, მაჯა—92.

**პეტერბურგი.** პეტერბურგის დეპეშათა სააგენტომ რუსეთის სხვა და სხვა კუთხიდან დეპეშები მიიღო. იტყობინებიან, რომ ყველგან პარაკლისები კადუხდიათ. ტავრიდის სასახლის ეკლესიაში მინისტრებისა და სათათბიროს წევრების თანადასწრებით გადახდილ იქმნა პარაკლისი. გუჩკოვმა 17 ოქტომბრის კავშირის სახელით სტოლიპინს თანაგრძნობის დეპეშა გაუგზავნა.

**პეტერბურგი.** რუსულ საკრებულოს საბჭომ სტოლიპინს თანაგრძნობის დეპეშა გაუგზავნა. ასეთივე დეპეშა გაუგზავნა სათათბიროს ახალ წევრთა ერთმა ჯგუფმა.

**ლონდონი.** სტოლიპინის დაჭრის თაობაზე გაზეთები წერილებსა ჰბეჭდავენ, სტოლიპინს დიდ სიმპატიას უცხადებენ და იმედი აქვთ, რომ სტოლიპინი რუსეთის საკეთილდღეოდ მალე მორჩება.

**კიევი.** დილით სოფიის ტაძარში სტოლიპინის ჯანმრთელობისათვის პარაკლისი იქმნა გადახდილი. მრავალი ხალხი დაესწრო. პარაკლისი გადაიხადეს სინაგოგებშიაც.

როცა ჭრილობები შეუხვიეს, სტოლიპინი ეზიარა. კაჩკოვის სამკურნალოში სადაც დაჭრილი წევს, ბევრი მოხელე მოვიდა. ქუჩა თითქმის დაფენილი. იქ პოლიციელები მორიგეობენ. ადგილობრივ გაზეთებს ტელეფონით მოსვენებას არ აძლევენ და მინისტრის მდგომარეობას კითხულობენ.

ხალხში ათასი ხმა დადის. ზოგი ამბობს მსროლელი საიდუმლო პოლიციის აგენტი იყოვო.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სტატს სეკრეტარ სტოლიპინის ავამთყოფობის გამო, მისი მოვალეობის აღმასრულებლათ დანიშნეს ფინანსთა მინისტრი კოკოვცევი.

მინისტრთა საბჭომ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა სტოლიპინს: „მინისტრთა საბჭომ, აღავლინა რა მხურვალე ლოცვა მეუფისადმი თქვენი მორჩენისათვის, მოჰანდოთ მე გამოგიცხადოთ თანაგრძნობა და ზიზღი ავაზაკს, რომელმაც გაბედა თქვენი ხელის შეხება და აგრეთვე იმედი თქვენი მალე მომჯობინების და ძალღონის დაბრუნებისა. სტატს სეკრეტარი ხარიტონოვი.

ცნობათა შემკრები ბიურო იუწყება, რომ ყველა ბიულეტენი, რომელიც საღამოს 8 საათამდი მივიღეთ, არ იძლევა დაწვრილებით ცნობებს, თუ რამდენად არის საშიში სტოლიპინის მდგომარეობა. იმ ცნობათა მიხედვით, რომელიც გვაქვს, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჭრილობა არც ისე მძიმეა, როგორც პირველად გვეგონა.

გაზეთი „როსსია“ საგანგებო დამატებით იუწყება, რომ ხელმწიფე იმპერატორმა დილის 7 საათზე და 30 წ. ინახულა სტოლიპინი.

**ლონდონი.** სერ ედუარდ გრეიმ დეპეშით თანაგრძნობა გამოუცხადა რუსის მთავრობას სტოლიპინის დაჭრის გამო.

**პარიზი.** „ტან“-ი მსჯავრსა სდებს ბოროტგამზრახველს და ამბობს, რომ მთელ ევროპას სურს სტოლიპინი, რომელმაც გამოიჩინა ნამდვილი პატრიოტობა, დიდი ჭკუა, როგორც მინისტრმა და პატიოსნება,— მშვიდობით გადარჩეს უბედურებას: მისი სიკვდილი რუსეთისათვის იქნებოდა ნაციონალური მწუხარება; გაზეთი ჰფიქრობს, რომ შეკავშირებული ერი, რომლის აღელვებას საფრანგეთიც ინაწილებს, ასცდება დიდ მწუხარებას.

**პეტერბურგი.** სრულიად რუსეთის ნაციონალურ კავშირის პეტერბურგის განყოფილებამ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა სტოლიპინს: „დიდად აგვაღელვა თქვენმა დაჭრამ. ეს ავაზაკობაა, ეგ არის მედგარი და აშკარა ბრძოლისადმი მიმართული ავაზაკობა. ვსთხოვთ ღმერთს თქვენს კარგად ყოფნას და ხანგრძლივ სიცოცხლეს რუსეთის საკეთილდღეოდ“.

სრულიად რუსეთის ნაციონალურმა კლუბმაც შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „ღრმად შეშფოთებულნი საზიზღარი ავაზაკობით, რომლის მსხვერპლათაც გახდა სამაგალითო სახელმწიფო მოღვაწე, სრულიად რუსეთის ნაციონალური კლუბი სთხოვს ღმერთს თქვენს ჯანმრთელობას და ვაცხადებთ მხურვალე სურვილს, კიდევ გიხილოთ ასპარეზზე კარგად მყოფი, შენი სამშობლოს ბედნიერებისათვის“.

**ვენა.** გაზეთები დაწვრილებით აღნიშნავენ სტოლიპინის დაჭრის ამბავს, „ნეიე-ფრე ე-პრესსე“ აღნიშნავს სტოლიპინის მოღვაწეობას და, შეაქებს მას. გაზეთი ამბობს, რომ სტოლიპინის მოადგილის შოვნა ძლიერ ძნელია. ქრისტიან სოციალისტთა ორგანო ამბობს: „რუსეთის ხალხის ერთი დიად ადამიანთაგანი კვლავ შეიქნა მსხვერპლი გამხეცებულ რევოლიუციონერების რისხვისა. რუსეთის სოციალისტ ტერორისტები თავიანთ თავს უწოდებენ განმათავისუფლებელს და ამ სახელით ჰფარავენ უმსგავსო თვისებებს და ნამდვილ ბარბაროსობას. რას მიაღწიეს შეთქმულების მეთაურებმა? რუსეთის ხალხის ისტორია ამით არ შეიცვლება. მხოლოდ დაწყნარებულ კულტურულ მუშაობას შეეძლო ცხოვრების შეცვლა და განახლებაო. რევოლიუციონური მოძრაობა და ავაზაკობა კი ამ საქმეს აფერხებს და ხელს უშლის.

„შინერ ცაიტუნგი“ აღნიშნავს, სტოლიპინი მშვიდობიანობის დამყარებისათვის მოღვაწეობდაო. და გამოსთქვამს სურვილს, რათა სტოლიპინის ხანა ჯერ-ჯერობით არ შესწყდეს“.

# ახალშენი

ახალშენი შეადგენს ტფილისის ერთს ნაწილს და მდებარეობს ვერის ბაღებსა და საბურთალოს შუა. აქ ხალხმა ოთხი-ხუთი წლის წინად დაიწყო დასახლება და ბევრი ტანჯვა-წვალების გამოიარა, სანამ პატარა საწვრილმანო დუქნები მაინც გაჩნდებოდა. უწყლობამ ხომ ძალიან შეგვაწუხა. წყალს ვეზიდებოდით ორი-სამი ვერსის სიშორიდან წყნეთის ქუჩის ონკანიდან, და თითო თულუხში ექვს შაურს ვიხდიდით. კიდევ კარგი თუ დროზე მაინც მოიტანდნენ; ხანდახან სამი-ოთხი დღე გვიხდებოდა უწყლოდ დარჩენა. გაჭირვების დროს იძულებული ვიყავით მტკვრიდან გვეზიდნა მღვრიე და უსუფთაო წყალი.

ზოგიერთის თაოსნობით ხალხი შეიკრიბა, მოილაპარაკა თავის მდგომარეობის თაობაზე და დაადგინა: ამოირჩიოს კომისია, რომელიც ეცდება და წყალს გამოიყვანს. მართლაც, კომისიამ თავისი ცდა არ დაზოგა, ერთი წლის განმავლობაში რის ვაი-ვაგლახით გამოიყვანა წყალი და გამართა ონკანი.

აქ წვიმების დროს ერთ დაბალ ადგილას ისეთი დიდი ქაობი დგება, რომ მთელი ახალშენის ჰაერი იწამლება, რის გამოც ძალიან მძვინვარებს ციებ-ცხელება. ერთ კაცს ვერ იპოვნით, რომ ციებისაგან არ იყოს გაყვითლებული. **საჭიროა ქალაქის სახანიტარო დაწესებულებამ ერთხელ მაინც მიაქციოს ყურადღება** და აქაურების ჯანმრთელობისთვის ცოტად მაინც არის იზრუნოს. აქ არც ექიმი მოიპოვება და არც ფერშალი, რომ დროზე მიიყვანონ ავადმყოფთან. ქალაქიდან ექიმის მოწვევა და წამალი კი 5—7 მანეთად ჯდება, რაც ვერ მოუხერხებია ისედაც ხელმოკლე კაცს. ახალშენელებმა უნდა უეჭველად როგორმე ფერშალი მაინც გაიჩინონ თორემ უამისოდ ძალიან გვიჭირს საქმე.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოსი კი აბა რაღა ვსთქვათ! სადაც უსაჭიროესი რამ ვერ მოუხერხებიათ, ბიბლიოთეკის დაარსებას სად მოახერხებენ?

ავდარში აქ ისეთი ტალახი იცის, რომ კაცი მუხლებამდე იფლება. და ამის გამო სახლიდან კარში გამოსვლა ძალიან ძნელდება. საცოდავი სანახავები არიან აქაური ბავშვები, როცა ზამთარში დილა ადრიან, მობუზული, დაგლეჯილი ჩუსტებით, საიდანაც ფეხის თითები საცოდავად იჭყიტებიან, თოვლ-ჭყაპში მიბაჯბაჯებენ სასწავლებლისკენ აქაურ ქუჩებში, და საქართველოს სამხედრო გზაზე. თუ კაი დარია, მაშინ კიდევ მტვრისაგან იხრობა კაცი.

ქალაქმა აქაურ ქუჩებსაც უნდა მიაქციოს ყურადღება. და ქვით მოკირწყლოს, რადგან ესეც ქალაქს ეკუთვნის. იმედია მომავალი ხმოსნები, რომელთა არჩევნებიც მალე იქნება, არ დაიზარებენ და ნამდვილს მამობრივს ზრუნველობას გაუწევენ ჩვენ ახალშენელებსაც.

ერთი აქაურთაგანი.

# წერილები რუსეთიდან.

**„ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე I“.**

**დ. მერეჟკოვსკისა.**

ყოველ მხატვარს თავისი ყაიდა აქვს ხატვისა. ზოგის ნახატი ზედაპირულია, ჰაეროვანია თითქოს, ოდნავ გაკრული ნაკვთებით, დაუჩრდილავ ეგვიპტელთა ნახატისავით. ლამაზია ასეთი ნახატი, თვალს ჰხიბლავს, მაგრამ შემოხაზული საგანი სრული არ არის აქ, თითქოს ცალმხრივია.

ზოგი კი განსაცვიფრებლად, ოსტატურად ახვევს ჩრდილს თავის ნაწარმოებს. ასეთ ხელოვანთ ეკუთვნის მერეჟკოვსკიც. მის მიერ შექმნილ გმირთა ნაკვთებს თანა სდევს ლამაზი, თვალის წარმტაცი ჩრდილი, და ამიტომაც თვით გმირები ძლიერნი, მომაჯადოვებელნი არიან. სურათის სიძლიერე არა აქვს მხედველობაში მხატვარს, როდესაც იგი გმირთა ნაკვთს თან ჩრდილს ავლებს; ეს ჩრდილი დამოუკიდებელია ხშირად, დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს მას,—მნიშვნელობა სიმბოლოსი. იმ რეალურ გმირს, რომელსაც გვიხატავს მხატვარი, თითქოს მეორე ხატება ეფარება, და ხშირად ამ მეორე ხატებაშია დაფარული ცენტრი მხატვრულის აღნუსხვისა, ხშირად აქ იფარვის მთელი სიძლიერე სულიერის, ადამიანისათვის უხილავის განცდა.

მერეჟკოვსკის გმირები თითქოს ორპირი არიან. პირველი ნახევარი—მიწიერი, ცხადი, რეალური; მეორე ნახევარი—ზეციური, რომელსაც მერეჟკოვსკი მთელ თავის ყურადღებას აქცევს. სხვა და სხვა სახელითა აქვს აღნიშნული ეს მეორე ნახევარი მას; სხვა და სხვა სახელს უწოდებს იგი ამ ორ პოლუსს ადამიანის სულისას—აღმოსავლეთს და დასავლეთს, ქრისტეს და ანტიქრისტეს, მაგრამ სახელთა ამ სხვა და სხვაობასთან არსებითი მხარე ერთი და იგივე რჩება, ადამიანის ხატება შუა იპობა. თქვენ თავს ანებებთ რეალურს, ყოველ დღიურ სახეს და ავტორთან ერთად მეორესკენ მიისწრაფვით, სულ-განაბული იხედებით მის სიღრმეში, თქვენ გრძნობთ, რომ უკანასკნელშია სწორედ დაფარული ამოცანა გმირის საქციელთა და მისწრაფებათა.

ასეა სწორედ დაწერილი ისტორიული რომანი მერეჟკოვსკისა „ალექსანდრე I“ („რუსკაია მისლ“-ი, ივლისი და მაისი; ცალკე თავები „რუსკოე სლოვო“-ში იბეჭდებოდა უფრო ადრე), მეტად საინტერესო რომანი, მთლიანი მხატვრულის მხრით, ლამაზ გმირთა დახასიათებით და ცოცხალი სურათი მრავალფეროვნებით.

რუსული ისტორიული რომანი ან იაფფასიან სურათს წარმოადგენს (სოლოვიევი) ან მეტად დამახინჯებულია მასში ისტორიული მასალა (დანილევსკი). ზოგი კარვია, საინტერესო, ზოგი ნაკლებად აკმაყოფილებს მკითხველს: ორივე შემთხვევაში ავტორი ვერა ჰშორდება ისტორიულ შაბლონს, იგი ვერ აღნიშნავს მის მიერ გამოყვანილ გმირში ახალ თვისებას, ხასიათის ნაკვთს, რომელიც თავისებურობასა სძენს გმირს, სიცოცხლესა ჰმატებს ნახატს და თქვენც გაინტერესებთ.

მერეჟკოვსკიმ სხვა გზა არჩია. ყველა იცნობს რომანში გამოყვანილ სახეს, მაგრამ ეს სახე ცოცხალია, უსათუოდ ცოცხალი. მხატვარი სარგებლობს ყველა წყაროებით, საბუთის ქაღალდებით, მემუარებით. მაგრამ ეს არ არის ყურ-მოჭრილი სარგებლობა. არა! იგი თავისებურად აწყობს, ალაგებს ამ მასალას, სულს უდგავს, მხატვრულად ჰქსოვს მას, და სურათიც მთლიანია ამიტომ, ჭეშმარიტი, იმდენად ჭეშმარიტი, რომ გინდა უსათუოდ ასეთი იყვეს გმირი.

რა გითხრათ მთლად ნაწარმოების შესახებ? ამ ჟამად ხელთ მარტოოდენ რამდენიმე თავი მაქვს რომანისა, მაგრამ რამდენი სიძლიერე ეტყობა ამ რამდენიმე თავს, რაოდენი ნიჭი და მხატვრული ალღო სჭვივის ამ რამდენიმე თავშიც კი! გადაჭარბებული არ იქნება გითხრათ, რომ ტოლსტოის შემდეგ ასეთი ძლიერი, მძლავრი კონცენტრაცია მხატვრულად შექმნილ სურათთა მე არ მახსოვს. აქ თითქმის ქანდაკებაა. ქანდაკება ნამდვილი, ლამაზი, მომხიბლავი თავისი ჭეშმარიტებით.

მოხაისტი, წვრილმანთა მოყვარული მერეჟკოვსკი აქ განთავისუფლდა ამ ნაკლულევანებათაგან, რომელიც ბევრგან, ძლიერ ბევრგან ძალას უკარგავენ მის ტრილოგიასაც, განთავისუფლდა და შთაინთქა თავის გმირთა სულში, ამ სხვა და სხვა ხასიათის კარისკაცთა, სხვა და სხვა გვარი შეთქმულთა და, დასასრულ, ალექსანდრე მეფის სულში.

აიღეთ მაგალითისათვის ფარული საზოგადოების კრება რილეევთან. თითქოს მკვდრეთით აღსდგნენ ყველანი. ძნელი დასაჯერებელია, რომ ამას ჩვენი დროის მწერალი სწერს და არა თანამედროვე იმ ამბავთა, ნიკიტა მურავიოვი, კიუხლია, ბესტუჟევი, პესტელი, ოდოევსკი, ვალერიან გოლიცინი,—ყველამ ხორცი შეისხა, გასულდგმულდა, ამეტყველდა. ყველას თანა სდევს მერეჟკოვსკის საბედისწერო ჩრდილი-სიმბოლო.

თითქმის ყველა მომხრეა თანდათანობითის რევოლიციურ მოძრაობისა. ამ თანდათანობას უკან ეფარება რუსული „ნელა, ნელა,“— ბევრი ვერ ხედავს, ვერ ამჩნევს ამას, რამაც დაღუპა და ღუპავს დღესაც ბევრს საქმეს რუსეთში, რაც რუსის ხასიათის ნაციონალურ თვისებათ შეიძლება ადვილად ადამიანმა და ამ თანდათანობასთან ერთად პესტელი თავის „პროექტით... ეს ქარიშხალია, ძლიერი ქარიშხალი ამ მყუდრო საყუდელში, თუმცა ეს ფარული საზოგადოებაცაა. პესტელი თვით თრთის ნერვიული აღტყინებით, თრთის სიმისავით: „რუსეთი პირველი განთავისუფლდება. სრული მონობიდან სრული თავისუფლებისაკენ,—აი, ჩვენი გზა. არაფერი გვაქვს, მაგრამ ყველაფერი უნდა მოვიპოვოთ. ისე თამაში სანთლის ფასადაც არა ღირს!“

ძლიერმა ქარიშხალმა დაჰბერა. შეიძლება, ეს ქარიშხალი საჭიროც არის, მაკურნებელიც. პესტელს აქ ღრმადა სწამს რუსის სიმართლე ისეთ, როგორც დოსტოევსკის რუსის სიყვარული განუსაზღვრელი და ადამიანობა მისი. პესტელის სიტყვა ელვასავით კრთის; მან აუნთო მსმენელთა გულში ცოცხალი ალი.

მაგრამ ეს გატაცება წუთიერი იყო მხოლოთ. რუსული სიმძიმე, უძრავი ბუნება, რომელიც ასე ოსტატურად ასწერა მერეჟკოვსკიმ კრილოვის სახით, კვლავ ძალას იკრებს და ანელებს ნაპერწკალს.

პესტელი ამ შეთქმულთათვის არის გაჩენილი. უფსკრულთან მიიყვანა მან ისინი, თავბრუ დაასხა... ყველა შორდება თან და თან, განზე სდგას ყველა. ყველა თავისუფლადა გრძნობს თავსა: განზე დარჩა პოლიტიკაცა!...

„ალი მოსდის ანისუნის ფუნჯს... სპირტის ალის მოცისფერო ტალღებში ნელა დასცურავს შაქრის პატარა თავი. გახსნეს ბოთლები, დაასხეს შამპანიური. საფსონო ნადიმია: თვითეული ოცდახუთ მანეთს იხდის...

პესტელის მრისხანე და სულის შემხუთველ სიმძიმის შემდეგ განცხრომით უბრუნდებოდნენ ყოველდღიური სიმჩატეს; ახლად გაღვიძებულებისავით იზმორებოდნენ, ამოძრავებდნენ სხეულის ყოველ ასოს და დაკარგულის ანაზღაურებას ესწრაფებოდნენ. ლაპარაკის საგანი უკანასკნელი დროის ამლუმი იყო, ჩინ-წარმატება, მოცეკვავე ქალი ისტომინა, გვარდიელ აფიცერთა ლაზღანდარობა კულისებში. სემიონოვის ქალი, რომელიც ასე სასტიკად დამარცხდა ამ დღეებში ლობანოვის „ფედრა“-ში. ეკამათებოდნენ ერთმანეთს ბოშა ქალების გამო, ფეშკასა და მამერკას გამო, რომელი უკეთ მღერის, ისეთი გატაცებით, როგორც რესპუბლიკისა და მონარქიის შესახებ ბაასში“...

ფუნჯით შესვეს და სიმღერით დაჰფარეს პესტელის ქარიშხალი. იცეკვეს და... დამშვიდდნენ. ისევ სიწყნარე.

მარტოოდენ ვალერიან გოლიცინი მიუხვდა პესტელის ნამდვილ საქმეს, გადაეხვია მას და აკოცა.

პეტერბურგი. პ. დადვაძე.

(დასასრული იქნება)

# განცხადებანი

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი** მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 საათ. დიდი მთავრის ქუჩ., N 67, სახლი ხვანიშვილისა.

**ექიმი ქალი კბილისა ნინო რცხილაძე** დაბრუნდა ტფილისში. მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. N 5.

**ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და საღ. 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., N 12, სახლი მდივნისა.

◀ მშობიარეთათვის ▶

# თავშესაფარი ბებია-ქალის თუხარელისა.

ოლგას ქ., საბებიო ინსტიტ. პირდაპირ მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6-დან ნაშუადღევის 12 ს.

(თ.—108—748)

მუხრანის ხიდთან

# სამკურნალო

გ ა ხ ს ნ ა
მუდმივის საწოლებით.

**Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.**

**ავადმყოფებს** ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებს.

**ადრენიანცი ნ. ა.** ყურ., ცხვ., ყელის 10—11 საათამდე.

**ნ. მ. ახმეტელი**—(მედ. ექ.), ყურის, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

**გ. ა. ახვერდოვი**—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

**ა. ა. გაზაზოვი**—შინაგან სნეულებანი დილის 10—11 საათ.

**ტ. ი. გეორგ-ეგიანი**—(მედ. ექ.) თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

**ქ. ა. გონიევი**—ბავშვთა სნეულ. სამშ. ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

**ა. ი. გრიგორიანი**—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.

**ი. გ. კალამკაროვი**—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.

**ა. ი. კატანიან**—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

**მ. დ. კილოსანიძე**—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს

**გ. ა. მელიქოვიანი**—ქირურგ. სნეულ. —6 ს.

**ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი**— ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

**ნ** ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata **„606“-ით.**

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე **ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646.** 100—50 (0—108—185

# დოქტ. ნაჭასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

**ბ. ა. ნაჭასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულიანი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

**ქალ. ექიმ. ბ. ს. ზილბერშაცი:** 12 ნახ.—1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა.

**გ. ი. გურგენოვი:** 1—1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

**ბ. გ. ავალიშვილი:** 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

**ქალ.-ექ. ბ. ს. ზილბერშაცი:** 6—6 ნახ.-ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. ბეჟანბეკოვ-ენგელი:** 6—6½ საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. გარცმანი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. **606 წამლობა, კონსულტაციურად.**

რჩევა 50 კ. დარიგებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნაჭასარდიანი.**

(Ⴜ. (1168—124)

**დაიკარგა** 2 სექტემბერს ტფილისის ძველი გეგმა პატარა ფორმატისა. (სათაური აქვს რუსულად: „Составилъ царевичъ Вахуштъ“, ვინც ჩამიბარებს, ჯილდოდ სამ მანეთს მიიღებს! პირველ თუმანოვის ქ. № 5. **ლევან ჟღენტისა.**

(1—797—1)

ქ. თ ე ლ ა ვ შ ი
**ისყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე**

# ჭრა-კერვის

● წ ი გ ნ ი ●

თვით-მასწავლებელი, 128 ნახატით. ახალი მეთოდი.

აქვს ნაწილად; ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული

**სოფიო ი. სიმონოვის მიერ.**

ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: **Въ г. Телавъ, „Школа кройки и шитья Софiи Iосифовны Симоновой. Вульв. пер. 2. собс. домъ.**

(100—1140—64)

გამოცდილი **მასწავლებელი**

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელებს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის **პირობებით:** სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, საეპარქიო სასწავლებლისთვის, სატექნიკო, საფერშლო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე საბებიო ინსტიტუტისათვის, ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე.** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ. ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, 2) ვერაზე, 3) ვაგზალზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი სხვა და სხვა ენებისა და საგნებისა. მეცადინეობა დაიწყება დილის 8 საათზე და გაგრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა, მიიღებენ სრულ ხარჯზედაც, **პანსიონში.** მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ-დღე, სანამ შევსებადეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

სიმონოვის ქუჩა, **№ 23,** ქვემო სართულში. შესასვლელი მთავარ-კარებიდან, ქვემო ზარი, და ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.

(თ.—1084—20)

# ვამზადებ

**ქალ-ვაჟთ** საშუალო სასწავლებლის მეოთხე კლასამდე და სხვა სასწავლებლებისათვის ყველასთვის ხელმისაწვდომ ფასად.

**მიმართვა:** ტფილისი, დიბიხის აღმართი, **ნინო თათეიშვილი.**

(6—6)

# „ახალი ცხოვრება“

ყაზარ კარაპეტიანის წიგნის მაღაზიაში იყიდება ყოველ-გვარი ქართული, რუსული და სომხური წიგნები- ვინც ათობით ანუ მეტს დაიბარებს, რუსეთში გამოცემულ წიგნებზე დაეთმობათ 10 პროც., ტფილისში გამოცემულზე კი 15—20 პროც; იაკობ გ. გოგებაშვილის წიგნზე—17 პროც. წიგნები სასწრაფოდ და პირიანად გაიგზავნება. ვინც გამოიწერს ამ ადრესით: **Тифлисъ, книжный магазинъ „Новая Жизнь“, Михайловскiй пр., N 36.** წიგნებს უგზავნის ფასდადებით, ბეს მიღების შემდეგ.

(2—787—2)

# ბებია-ქალი ექ. ი. თოხაძე

**დაბრუნდა აგარაკიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება.**

ადრესი: დავიდოვის ქუჩა, **№ 24.** მარჯვენა ზარი. ან მთაწმიდის ქუჩა, № 15., სახ. 4.

(2—795—2)

სუსუნატის წინააღმდეგ
**ახალი წამალი**

# „SALO-კირილინი“

სწრაფად და საფუძვლიანად მოქმედობს და ექიმთა აზრით გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფში ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფითაა, 1 მან. და 80 კ.

უვრელდ კარგად მოქმედობს ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს, და მოკლე ხანში შეუწყვეტელ მდინარეობასაც აჩერებს.

დეპო: **Петербургъ. Разъѣзжая N 7, Аптека В. Конгейма.**

ფას-დადებით იგზავნება. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით. კავკასიის სააფთიაქო საქონლია. მოვაჭრე საზოგადოებაში იშოვებთ Метцль. 12429.

(45—1014—30)

საბუღალტრო კურსები
ვ. და მ. ტერ-დავიდოვებისა. ნიკოლოზის ქ., N 36, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.
კანცელარია ღიაა საღამოს 4—6 ს
**სწავლა დაიწყება 15 ენკენისთვიდან.**

(25.781.8)

# ოზურგეთში

თვითმმართველობის ქუჩაზე

# იყიდება

სახლი და მიწა. ადრესი ცენტრალური სკლადი ი. ქელიძესთან.

(2—793—2)

მოუფრთხილდით სიყალბეს!
პროვიზორ

# გ. ფ. იურგენსის

**ბორნო-ტიმოლის**

—● საპონი ●—

ოფლისა, მზის ნამწვისა, ძიძიბებისა, მელასი და ჭორფლის წინააღმდეგ **კეთილ-სუნელოვანი ხელის საპონი უმაღლესის ღირსებისა.**

ყველგან ისყიდება.

$^1/_1$ ნაჭერი 50 კ. $^1/_2$ ნაჭ.—30 კ.

Метцль. 5215. (18—1178—19)

**ოქროს მედლები, დიპლომები 1893 წ. ჟენევის გამოფენაზე 1896 წ.** [partly illegible side text]

# წიგნის გამომცემლობა კულტურა

პირველ ოქტომბრამდე 1911 წლ. მიიღება ხელის მოწერა სამ ორიგინალურ, ჯერ დაუბეჭდავ, წიგნზედ:

1) „**შოთა ბოლქვაძე**“ რომანი თანამედროვე ცხოვრებიდან 300 გვერ. ვ. მალაქიაშვილისა.

2) „**ისტორიული მატერიალიზმი**“ მეცნიერული შრომა ნ. ჟორდანიასი, ნ. რ—ლის წინასიტყვაობით, 220 გვ.

3) „**ერი თუ კაცობრიობა?**“ პუბლიცისტური ნაწარმოები ბატ. ა. ჩ—კელის Bâton-ის წიგნის გამო 120 გვ.

სამივე წიგნი დაიბეჭდება კარგს ქაღალდზედ და უთუოდ დაურიგდება ხელის მომწერთ **ოქტომბრის 30-ს.**

მთელი გამოცემა **ხელის მომწერთათვის** ეღირება 1 მან. 20 კ.

ხელის მოწერა შეიძლება ცალკ-ცალკეც: პირველი წიგნი 65. მეორე 45, მესამე 25. დაბეჭდვის შემდეგ: 90—60—30 კაპ.

ხელის მოწერისთანავე **საგალდებულოა** 20 კ. შემოტანა, დანარჩენი წიგნის ჩაბარებისას.

ადრესი: ქ. ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, № 5, ვორონცოვის ძეგლთან. სტამბა „ნადეჟდა“, კ. თ ა ვ ა რ თ ქ ი ლ ა ძ ე.

P. S. ვინც ისურვებს მიიღოს წიგნები კარგი კალენკორის ყდით, ოქროს ასოების წარწერით, იმან ეხლავე უნდა შემოიტანოს: თუ სამივე ერთად 40 კაპ., თუ ცალკე, 35 კაპ. თითოზე.

(6—1486—1.)

ს ა მ ა გ ა ლ ი თ ო ს ი ს უ ფ თ ა ვ ე

ახლად გადაკეთებული **აბანო** ვერის დაღმართზე, N 7. სამაგალითო სისუფთავით და ახალ გადაკეთებულ ევროპიულად მოწყობილი ნაწერებით ელექტრონის განათებით. ევროპიულად მოწყობილი ცივი და ცხელი დ შით და პარით. კაპილნი და ემილირებანის მანებით, **ცივი და ცხელი დუშით,** აგრეთვე **საზოგადო. საბანაო,** მშვენივრად მოწყობილი ცივი და ცხელი დუშით და პარით, მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ **ვ ა ნ ე ბ ი გ რ ა ფ უ ს ი თ,** რომლის აბონემენტი ეღირება თვიურად **9** მან., 15 დღით **6** მან., დითოჯერ 40 კაპ. ნომრების ფასი 60 კაპ.-დან—1 მ. 50 კაპ.-მდე. საზოგადო სებანა ები კაცისა და ქალისათვის 20 კაპ. აბანო ღიაა დილის 6 ს საღამოს 12 ს. კვირაობით დილის 6 ს. შუადღის 12 საათამდე. ზრდილობიანი მოსამსახურეები როგორც კაცებისთვის, ისე ქალებისთვის. ვთხოვ პატივცემულ საზოგადოებას მობრძანდნენ და დარწმუნდნენ ყველა ამაში. პატივისცემით **ზ ი. აბრამაშვილი.**

ს ა მ ა გ ა ლ ი თ ო ს ი ს უ ფ თ ა ვ ე

(1—790—1)

# საკერავი მაშინა ზინგერის კომპანიისა

ი ყ ი დ ე ბ ა

მხოლოთ კომპანიის საკუთარ მაღაზიებში

ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილ **1** მანეთიდან

ყველა მაშინები ფასად **25** მანეთიდან

მაღაზიის ნიშანი.

უფრთხილდით სიყალბეს

მაღაზიები ყველა ქალაქებში.

(Ⴜ.—1062—31)



ალექსანდრე

# თაბაგარი

მ ა ღ ა ზ ი ა შ ი

საკერა ვი და სქსოვი მაშინები,

ქუთაისი ალექსანდროვის ქ.

**გრამოფონები და ველოსიპედები**

და მათი მოწყობილება დამზადებულია საზღვარ-გარეთის საუკეთესო ქარხნებში, რის სიკარგეშიც ვიძლევი გარანტიას. ფასები საქარხნოა (ზომიერია), როგორც ნაღდზედ, აგრეთვე ნისიათ. (თვიურად შემოტანით). ჩვენს საკერავ მაშინებს აქვს წარწერა. „ПО ОСОБОМУ ЗАКАЗУ—А. Р. ТАБАГАРИ КУТАИСЪ“, რომელიც უტყუარია და მყიდველებიდგანაც მაქვს მადლობის წერილები. **მყავს გამოცდილი მექანიკი, შეკეთება ყველაფ რის კარგად და ზომიერ ფასებში.** გრამოფონის პლასტინკები ახალ-ახალი მოგვდის ყოველ კვირა.

ფოსტის ადრესი: **Кутаисъ, А. Р. Табагари.**

(50—1072—39)



# თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზია ქუთაისში

აცხადებს, რომ მომავალ სასწავლო წლისათვის მას დამზადებული აქვს ყოველგვარი სახელმძღვანელო, რომელიც იხმარება დაბალსა და საშუალო სასწავლებლებში. სასწავლებლებს, წიგნ თ-საცავებსა და საზოგადო დაწესებულებებს ყველა წიგნზე დაეთმობა 10 პროც. (ყდისთვის გადაჰხდებათ ერთი შაური). სოფლის მასწავლებლებს განსაკუთრებული დათმობა ექნებათ.

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

# იყიდება შემდეგი წიგნები

| | |
|---|---|
| თხ. არჩ. ჯორჯაძისა: | წ. 1-ლი „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ . . . ფ. 75 კ |
| | წ. 2-ე „ჩვენი საზოგადოებრიობა“ . . . . . ფ. 80 კ. |
| Bâton-ისა: | „ერი და კაცობრიობა განხილ. სოციოლოგიური მხრით“ ფ. 1 მ. 20 კ. |
| ვ. უიფიანისა: | „სამეგრელოს მთავარი ლევან“, 4 მოქმ. დრამა . . . ფ. 40 კ. |
| შიუკაშვილისა: | „მეგობრობა“, 4 მოქმ. დრ. ფ. 30 კ. |

„სორაპნის“ ამხ გამოცემანი —

# ქართველი მწერლები

ნაწილი I, ფასი 80 კ. (ყდით).

შედგენილი ივ. გომელაურის მიერ და ნაწ. II, ფასი 1 მ. 45 კ. (ყდით). შემ. მ ი ს გ ა ნ ვ ე. იყიდება საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში. წიგნის გამყიდველებს დაეთმობათ ჩვეულებრივ პროც. ამ სახელმძღვანელო წიგნების გამოწერა შეიძლება წ. კ. ს. წიგნის მაღაზიიდანაც, რომელზედაც მაღაზია დაუკლებს იმდენსავე %, რამდენსაც თავის წიგნს უკლებს. ვისაც სურს წიგნის პირდაპირ გამოწერა, უნდა მიმართოს შემდეგი ადრესით: **Тифлисъ, типографiя «Сорапань».**

(10—1450—9)

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

# საკომერციო ცოდნათა კურსები ტ. მ. ფილოიანისა,

(ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახლი № 24—4, ტელეფონი 976).

**სპეციალური საკომერციო განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის.**

კურსის დამთავრების შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.

პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც **Pitman**-ის სასწავლებელში (ლონდონში) და **პიუერის** (პარიზში), მუშტერ-ლომტორიში. მასალა რეალურ ცხოვრებიდან აიღება. საგნები: ა) სავალდებ.: 1. ბუხჰალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, საბანკო და საფაბრიკო-საქარხნო). 2. კომერციული არითმეტიკა. 3. პოლიტიკური ეკონომია. 4. კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება). 5. კომერციული კორესპონდენცია. 6. არითმეტიკა ჩოთქზე. 7. კალიგრაფია, სწორი წერა ხელის გასწორება. ბ) არა სავალდებულო: 1. უცხო ენები. 2. სტენოგრაფია. 3. დაკტილოგრაფია (რემინგტონი და სხვ.) და 4. კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე. მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე თითოეულად. თხოვნები მიიღება 10—12 ს. დილით და 4—7 ს. საღამ. პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების სადგომიდან.

კურსების დამაარსებელი საკომერციო მეცნიერებათა კანდიდატი **ტ. ფილოიანი.**

(1—1444—1)

სავაჭრო და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

# ნ. ვ. აბრაამიანის საბუღალტრო კურსები

(არსებობს 1895 წ.)

ავტორი „ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოსი“, რომელიც მოწონებულია ვაჭრ. და მრეწვ. სამინისტროს მიერ.

ორივე სქესისათვის **კურსი 4** თვისაა ყოველდღიური მეცადინეობით.

სწავლა იწყება 15 ენკენისთვიდან. კურსებზე მეცადინეობენ ბუხჰალტერიისა და სხვ. სავაჭრო ცოდნათა საგნებს მრეწველობის სხვა და სხვა დარგიდან, დამოკიდებული ნავთის მრეწველობაზე—ყოველ-ნაირ წესით. დასახელოვნება ორმაგ იტალიურ სისტემაში. კომერც. არითმეტიკა, კომერც. კორესპონდენცია, სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება. პოლიტიკური ეკონომია, არითმეტიკა ჩოთქზე, კალიგრაფია, ხელის გასწორება. მსურველთათვის უცხო ენები, სტენოგრა და რემინგტონი.

მასწავლებელნი-სპეციალისტნი უმაღლეს სწავლით, პრაქტიკულად დათეორეტიულად ყოველ საგანში ცალკე მომზადებულნი.

ა ტ ე ს ტ ა ტ ს სამინისტროს ნებართვით. პროგრამები და წესები უფასოდ ეძლევათ. თხოვნები მიიღება 25 აგვისტოდან, 9 ს.-დან 11 საათამდე, და 5-დან 7 საათამდე.

ნაკლებ მომზადებულთათვის კურსებთან არსებობს მოსამზადებელი განყოფილება რუსული ენისა და ასგარიშისა.

წერილობით და პირადად მიჰმართეთ კურსების დამარსებელ: ნიკოლოზის ქუჩ, 22, საკუთარი სახლი, ტელეფ. № 447

(2—1445—2)

# სალიანის თევზით მრეწველ და მოვაჭრეთ ძმ. ძეგველოვების

● მ ა ღ ა ზ ი ა ●

პუშკინის ქ., საკუთარი სახლი, № 3, ტელეფონი № 712,

# ახალ-ახალი

ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).

გირ. უდაბესკოთ 25 კაპ.

მივიღეთ საუკეთესო პაიუსნი ხიზილალა გირვანქა 1 მან. 20 კ.-დე.

(Ⴜ.—1058—)

საკანცელარიო მაღაზია

# ოცხელებისა

დ. და კ.

მთავრიშვილის წიგნის მაღაზიის გვერდით,

აცხადებს, რომ მას დამზადებული აქვს დიდძალი სასწავლო და საკანცელარიო ნივთი: რვეულები, დღიურები (საკუთარი გამოცემებისა), ჩანთები, საზღვარ-გარეთიდან მიღებული ბლანზი პურის კალმები და ფაბერის კარანდაშები, სამხატვრო ქაღალდები და საღებავები, უბის წიგნები, საუკეთესო პორტფელები, ანგარიშ. წიგნები, ბიუვარები და მრავალი სხ.

ფასები მეტად დაკლებულია.

(10—1447—10)

სტამბა „სორაპნი“, მიდათოვის კუნძული.

რედაქტორ-გამომცემელი **ნ. ქურდღელაშვილი.**